# მეძროხეობისათვის ბინების მშენებლობა

საძროხის მშენებლობისათვის პირველი რიგის ამოცანაა ტერიტორიის შერჩევა , რომელიც მოხერხებული იქნება ყველა ნაგებობის განთავსებისათვის, მოსამსახურე პერსონალის დასასვენებლად, საკვების შესანახად და სხვა.



დანართი: No: 1 ფერმის შენობა 20 სულ ფურზე;

დანართი: No: 2 ფერმის შენობა 30 სულ ფურზე;

მშენებლობის დროს საჭიროა დავიცვათ შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. პირველი და მეორე კატეგორიის გზიდან ფერმა უნდა იყოს დაცილებული არანაკლებ 300 მეტრით.
2. მესამე კატეგორიის გზიდან 150 მეტრით.
3. შიდაგზიდან პირუტყვის გადასარეკი გზიდან 50მ-ით ასევე 50მ–ით უნდა იყოს დაცილებული ყველა დამხმარე ნაგებობები ფერმიდან.
4. ფერმის ტერიტორიაზე ან მის მახლობლად უნდა იყოს წყლის რესურსსები, რომლის გამოყენება ცხოველის დაწყურებისათვის შეიძლება.
5. ფერმის მშენებლობისათვის უნდა გაკეთდეს პროექტი, რომელშის დასაბუთებული უნდა იყოს ტექნიკური პირობები, რომელიც ითვალისწინებს:

ა) საკვებზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების გაანგარიშებას.

ბ) წარმოებული პროდუქციის სახეობას და მოცულობას.

გ)ტერიტორიის ფართობის რაოდენობას, საცხოვრებელი ფართის და ტრანსპორტის რაოდენობას და სხვა.

6. ფერმის მშენებლობის დროს საჭიროა შემდეგი განყოფილებების გათვალისწინება:

ა) ცხოველთა სადგომი (ბოსელი)








ბ) საკვების გადასამუშავებელი და შესანახი განყოფილება

გ) რძის გადასამუშავებელი განყოფილება თავისი ლაბორატორიით. რძის ხარისხის გასინჯვისათვის.

დ) ადმინისტრაციული–სამეურნეო განყოფილება.

ე) ტექნიკის გასაჩერებელი.

ვ) ნაკელსაცავი.

ზ) იზოლატორი.

თ) სეირანი (სასეირნო მოედანი, ფარდული კლიმატური პირობების მიხედვით)

ი) ერთ სულზე დაბმული შენახვის დროს უნდა იყოს 1,7–2,3 კვ.მ. მთელი ფართობის 10–15% უნდა დაუთმოთ მწვანე ნარგავების გაშენებას.დაუბმელი შენახვისას:

1. ფურებისათვის 4–5 კვ.მ.

2. მოზარდებისათვის 6–8 თვიდან 12– თვემდე 2,5კვ.მ

3 12–18 თვემდე 3კვ.მ

4. 3–თვემდე ასაკის ხბოებისათვის 1,2კვ.მ

5. 3 თვიდან 6 თვემდე 1,5კვ.მ.

მეცხოველეობის ფერმა 20 სულ მეწველ ფურზე




საერთო ფართობი S = 300.0 კვმ


ფერმა 30 სულ მეწველ ფურზე
2.5
სიმაღლე H = 2.2
37.0
4.0
4.0
3.3
3.3
6.8
22
3.8-4.0 m
3.0
3.0
0-1 თვემდე ხბოების განთავსება 5 სულზე
საკვების შესანახი 13.2 კვ.მ
რძის მიმღები
რძის ლაბორატორია
3 სული
4.0
4.0
1.8
0.1
0.25
1.5
4.5
1.2
2.15
18.0
1.0
3.3
3.3
1.5
9.6
საერთო ფართობი S = 355.0 კვ.მ